

დროება

გამოდის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

უახლესი განცხადებები

ბაღი ასოვიით ასოვზე 1კობ., ჩვეულებრივად ასოვითა...
იუ ხაჭირაძეს შაბათს, რედაქციის გასწორებას...
განცხადება შაბათს ქართულს, რუსულს და სხვა ენებზე.

რედაქცია
სამშაბათი-გარდა
„დროება“
წელიწადში 6 თვეს 3 თვეს
დროებას „ივერია“ ერთად . . . 13 მან. . . 7 მან. . . 4 მ.
„დროება“ 9 მან. . . 5 მან. . . 3 მ.
„დროება“ „ივერია“ 6 მან. . . 4 მან. . . 2 მ.
„დროება“ „ივერია“ „ივერია“ 2 მან.

1 აგვისტო-დან წლის დასაწყისამდე
დროება
ღირს ოთხი მანეთი
ივერია
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

ბელაგრავენი
(სახლთა შორის ხაჭავაძეების)
რბაშა, 29 აგვისტოს. ესკადრის
მედიკოსი და მით მოსულნი რუსის
კორპუსი და კლინიკა. რისა-ფაშა
გმირად დაუდგინოს დათმობის-
თვის.
სტამბოლი, 29 აგვისტოს. ამბო-
ბენ, ელჩები ოსმალეთს საერთო ნო-
ტის განდგენილნი, რომელიც უსუსნი
იქნება სამხრეთის შესახებ სასაფრ-
სო წინადადებაზე. ამ ნოტისა, რა-
გორც ისმის, შორის წინადადების
შუქტის ნაწილი დაწესებული იქნება.
პეტერბურგი, 30 აგვისტოს. ლა-
რის-მედიკოსი ებრაჟა ანდრია შირ-
იკო-წოდებულის ორდენი. ვოლგას
დღეს დიდას ამბით აგურთეს სიდი.
მდმსს, 30 აგვისტოს. „მოსკოვი“
გრესიერი მდარე ოკეანში წავიდა
35,000 ფუთი ტვირთით და ორი
ნაღმსანი ნაწილი.

სტამბოლი 31 აგვისტოს. ესდრი-
ფაშა სამსახურად გამოვიდა; სახლი
სამინისტროს შედგენის მოკლას.
დღეს აგვისტოს შინაგან პეტრინში
მივიდა.
პეტერბურგი, 31 აგვისტოს. „მმარ-
თებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია:
იმპერატორმა უბრძანა მინისტრთა
კომიტეტს გამოიკვლიათ სასულე-
ბანი წიშობის რენის გზის ნაწილის
წინ-გადუდებლად გასაყვანად კვტრე-
ნობურების და ტიუმენის შორის,
ლონდონი 30 აგვისტოს. ზღვა-
ზე დემონსტრაცია რამდენიმე დღით
ბეჭდილია. ჩინოვანების თავადი ხელს
იღებს. დინამიტად და გრუდიდამ იმ
შეზღობით, რომ შორსამ მშვიდობა-
ნად, ფორმალურის წესით გადასცეს
მას დაუდგინო.
სტამბოლი, 31 აგვისტოს. ხოს-
თქანმა საიდ-ფაშა ყარაღ-ფაშის ად-

კილსედ დაწინა. ოსიმ-ფაშა გა-
რეშე საქმეთა მინისტრად; რაიფ
(რეუქ?) ფაშა ვაჭრობის მინისტრად.
კანაღ-ფაშა სახლსა განათლების
და სურვერ-ფაშა სახელმწიფო რჩევის
თავმჯდომარედ დაწინა. სხვები თა-
ვანთ ადგილებზე დაწინა.

ბროსეს ბარდაცვალებაზე
ტფილისი, 1 სექტემბერი.

ამ ორი-სამი თვის წინათ რუსულს
გაზეთებში იწერებოდნენ, რომ აკა-
დემიკოსი ბროსე სტოვეს აკადემი-
კოსობას, ეთხოვება რუსეთს და საფ-
რანგეთში მიდის სამუდამოთ იმ გან-
ზრახვით, რომ იქ, სამშობლოში, გა-
ტაროს თავის სიცოცხლის უკანასკნე-
ლი დღეები და იქვე ჩაჰყაროს თავის
ძელები.

ამავე გაზეთებმა მოგვიტანეს ჩვენ
გუმნ სამუშაოთა ამბავი, რომ ბროს-
ესს შეჰსრულდება თავის უკანასკნელი
განზრახვა და სურვილი: ის გარდაცვა-
ლებულა საფრანგეთის ქალაქ შა-
ტელროში ამ აგვისტოს 22-ს.

„საუკუნოთ იყოს ხსენება მისი!“
პრავის არ ეკუთვნის ამ სიტყვების
თქმა ისე, როგორც ჩვენ, ქართვე-
ლებს; ამიტომ რომ ამ კაცმა ჩვენი
ხსენება და სახელი საუკუნო მოსახსე-
ნებლად გახდა მეროპაში.

მართლაც, ადრე, ჩვენ ისტორიულ
ცხოვრების დროს, განათლებული
მეროპა ცოტად თუ ბევრად გვიც-
ნობდა; იცოდა, რომ ძველსაში
ცხოვრობს ერთი მხნე ხალხი, ივე-
რიელები, რომელიც მარჯვედ წინ
უდგება და ებრძის აზის ხალხსა,
განსაკუთრებით სპარსელებსა და ოსმა-
ლებსა.

მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართვე-
ლოს ბედი რუსეთისა შეუერთდა,
ჩვენი ქვეყნის ხსენება თითქმის სრუ-
ლიად მოიშრა მეროპაში. ბროსემ
პირველმა შეატყობინა ქვეყნისა ჩვე-
ნი წარსული ისტორიული ცხოვრება,
ჩვენ ბედ-იღბალი და მდგომარეობა.

აი ამისთვის ჰმართებს ახლად-მიცვა-
ლებულ ბროსეს ყოველის ქართვე-
ლისაგან საუკუნო მადლობა და პა-
ტივისცემით მოხსენება.

მს ერთი მხარეა იმის ცხოვრებისა
და მოღვაწეობისა. მეორე მხარე კი-
დეე უფრო საყურადღებოა ჩვენ-
თვის:

ბროსე დაბადებით ფრანკუზი იყო.
მეცნიერებისა და დავარდნილ ხალხის
სიყვარულმა აღძრა ამ ჩვენთვის უცხო
კაცში სურვილი ჩვენი ისტორიულ
ცხოვრების შესწავლისა და ჩვენი
ლიტერატურის დახმარებისა. პატარა

საქართველოს ხალხის გაცნობას, შეს-
წავლას მოანდომა იმან მთელი თა-
ვისი სიცოცხლე და თავის დაუღალა-
ვი შრომა. ის იყო ნამდვილი შვილი
თავის ქვეყნისა — საფრანგეთის ხალ-
ხისა, რომლის ერთი ჩინებულსაგანი
და საქებთაგანი თვისება და ხასიათი
ის არის, რომ თავის საკუთარ უბე-
დობის და გაჭირების დროსაც კი არ
იფიცებს სხვა ხალხების შეწყობას და
დაზარებას...

როგორ სამაგალითო არ არის ამ
კაცის ცხოვრება და მოღვაწეობა
ჩვენთვის, ქართველებისათვის, რო-
მელიც ასე გულ-გრილად ემუშაობთ
ჩვენი საკუთარ ქვეყნის წარმატებისა და
გონებით აღდგენისათვის? როგორ არ
უნდა გვრცხვინოდეს, რომ ვიღაც
ფრანკუზი ჩნდებოდეს ჩვენთვის
მშრუნველი, ჩვენი ქვეყნის გამცნობი
მეროპისა, ჩვენი ისტორიისა, ლიტე-
რატურისა და ენის გამოამკვლევე-
ლი — და ჩვენ კი ამ დროს მხოლოდ
ფიქრობდეთ — თუ როგორი მა-
ხე დაუგოთ ჩვენს მოძმეებს, როგორ
ლაზათიანად გვაშოთ, ვსვათ და შემ-
დეგ მხარ-თემოზე წარმოგვიყვით?

ზანსაკუთრებით სამაგალითოა ამ
კაცის ცხოვრება იმ ჩვენ ახალგაზდა
ესრედ წოდებულს განათლებულ თაო-
ბისათვის, რომელიც ყველაზე პირვე-
ლად საპატიო თანამდებობის მიღებას,
ჩინოვნიკობასა და კარგ ჯამაგირზედ
ჰფიქრობს. ღარიბ-ღატაკ ფრანკუზს,
ჩვენი ქვეყნის უცნობს, ჩვენთან არა-
ვითარ ინტერესით არ შეკავშირებულს,
პარიჟში მცხოვრებს აღმდგრის სურ-
ვილი ჩვენი გაცნობისა, ჩვენი ისტო-
რიის შესწავლისა, და ენერგიულად
ჰკიდებს ხელს ამ საქმეს. მს ხდება იმ
დროს, როდესაც თვითონ ჩვენი ქვეყ-
ნის განათლებული შვილები მისდე-
ვენ თავის კარიერას, ჯიბისა და სტო-
მაქის გასვლას!

ამისთანა კაცის სიკვდილი მთელი
ქართველობისათვის სახალხო მწუხა-
რებად ჩაითვალოს. მაგრამ ამ მწუხა-
რებაში ჩვენ ის გარემოება გვანუგე-
შებს, რომ მიცვალებულის ცხოვრე-
ბა სამაგალითოდ, მისაბამად დარჩე-
ბა იმ ქართველ ახალგაზდებისათვის,
რომელთაც პირველი მოვალეობა
სამშობლოს უნაგრო სამსახური და
იმისათვის თავის საუკეთესო დღეების
შეწირვა უნდა იყოს...

საუკუნოთ იყოს ხსენება მისი.
ს. მ.

ნაპროლოგი.
22 აგვისტოს გარდაიცვალა საფ-
რანგეთის ერთ პატარა ქალაქში, შა-

ტელროს, წარჩინებული საქართვე-
ლოს ისტორიკოსი და სწავლული
მარი ივანეს ძე ბროსე.

სანამ ფრანკიკული გაზეთები და
ჟურნალები მოგვიტანდნენ იმიზე
დაწვლილებულ ამბავს, აი რამდენიმე
ბიოგრაფიული ცნობა განსვენებულ-
ზე.

ბროსე დაიბადა 5 თებერვალს
1802 წელს, პარიჟში. მომავალი სა-
ხელ-განთქმული ორიანტალისტი,
შინაურ გარემოებათა გამო, იძულებ-
ული შეიქმნა, ბავშვობაშივე, დაე-
ტოვებინა ურიცხვი პარიჟის სასწავ-
ლებლები, წასრულიყო ორწლისა
და იქაურ სასულიერო სასწავლებელში
მიეღო სასულიერო განათლება.

ბროსემ ჯერ სემინარიაშივე გა-
მოიჩინა თავისი სიყვარული აღმოსავ-
ლეთის ენების შესწავლისა. სწავლის
შესრულების შემდეგ ის მალად მიეცა
ამ საგანს, რომელსაც შემდეგში შეს-
წირა მთელი მისი დიდებული სი-
ცოცხლე; ის სწავლობდა ებრაულს,
ჩინეთურს, მანჭურულს, ტიბეტურს
და ბოლოს, სენ-მარტენის რჩევით,
ხელი მიჰყო ქართულსაც.

დიდის გაჭირებით, უმასწავლებ-
ლოთ, ულექსიკონოთ, მარტო სახა-
რებისა და კატეხიზმოს კითხვით ბროს-
ემ როგორც იყო დაისწავლა ქართუ-
ლი ენა *). პირველი მისი სტატია,
რომელიც, რასაკვირველია, იმან შეს-
წირა ქართულ ენას, დაიბეჭდა ერთს
ფრანკიკულს ჟურნალში იმ დროს,
როდესაც ბროსე იყო 25 წლისა.
(ნახე: *Journal asiatique*. Juin
1827). მას აქეთ დამოკიდებული ეს
ნახევარი საუკუნე მეტია რაც დაუ-
ღალავი მუშაკი, როგორც მითოლო-
გიური ბრძარე, ორმოც-და-ათი თა-
ვით და ასის ხელით მუშაობს სა-
ქართველოს ისტორიის გამოსაკვლევად
და ლიტერატურის შესასწავლად.

ძნელია და ვერც კი შევძლებთ
ჩამოვთვალოთ სულ ყველა რაც კი
უწერია ამ საკვირველ კაცს. ჯერ,
სანამ რუსეთში გადმოვიდოდა, ბროსე
იღებდა მონაწილეობას შემოხსენებულ
ჟურნალში, რომელიც დღესაც გამო-
დის პარიჟში და რომლის საშუალო-

*) რამდენათ ძნელი იყო მარტო
გაცნობის ამ ნაირათ ქართულის შესწავლა
აქედამ გასინჯეთ. სხვა-და-სხვა გვარ
ქართული ანბანების დასწავლას და მართლ
წერაში ერთმანეთი დამ გახსენებს ის ისე
უწვავლებია, რომ სწერს: ქართველებს
აქეთა: ორი უ (უ. გ.), სამი ი (ი. ა.
ვ.), ორი გ. (გ. დ.), სამი ჰ. (ჰ. ჰ. ვ.).
სუთი კ. (კ. ქ. ე. ს. კ.).

ბით მთელ ევროპას გააცნო ახალ-გაზდა ბროსსემ ჩვენი სამშობლო.

ბი ზოგიერთა ამ ჟურნალში დაბეჭდილი მისი სტატიები: შენიშვნა ქართულ ენაზე (ივნისი 1827) თანამედროვე ქართული ლიტერატურა (ივნ. 1828) შენიშვნა ქართულ დაბადებაზე (ივლისი 1828), შენიშვნა გახთანგის კანონებზე (მარტი 1829), ქართული ზოგისა (აპრ. ნოემბ. 1830 და მაისი 1831), გახთანგის სამსუქრი კანონის თარგმანი (იანვ. 1832), საფრანგეთსა და საქართველს შორის პისვლა-მისვლა (მარტი, აპრილი მაისი 1832), ქაოონიკონა (აგვისტო 1832), ლათინურადმ ბენწანდრა მანის თარგმანი (სექტემბ. 1832), ქართულ გრამატიკაზე (მაისი 1833), საბა ობზე-ლიანის ლექსიკონი (თებერვ. 1834), ინჯიჯიანის თარგმანი (მაისი 1834), ქართულ ფულებზე (მაისი 1835), მირანის, ქართულიდამ ნათარგმნი (ნოემბ., დეკემბ. 1835 იანვ. და აპრ. 1836), დისკერტაცია ქართულ ფულებზე (ივლ. 1836) და სხვ. და სხვ.

ამ სტატიებს გარდა ბროსსემ იმ თავითვე დაიწყო ქართლის ცხოვრების შესწავლა, რომელიც იმან ბოლოს დაბეჭდა ქართულათ და მშვენიერის ფრანციკულის თარგმანით გამოცა.

მაგრამ ახალგაზდა ბროსსე შორი-დამ რჩებოდა უბრალო დილექტანტი ქართულის ისტორიისა. იმას არ შეეძლო დაერქვა თავისთვის საქართველოს ისტორიის და ენის მცოდნე. ამისთვის 1836 წელში ბროსსე გადმოსახლდა რუსეთს, რომლის ხელთ იყო საგანი მისი ცნობათ-მოყვარეობისა. რუსეთში დიდის პატივ-დებით მიიღეს ის. იმავე წელს, რა წელსაც გადმოსახლდა ის პეტერბურგში, იმას მისცეს აკადემიის კათედრა ქართულის და სომხურის ენისა და 1844 ამო-არჩიეს სამეცნიერო აკადემიის წევრათ. ბოლოს დროს იმას ებარა მრმიტაქის ნუმისმატიური კაბინეტი.

მისმა რუსეთში გადმოსვლამ და-აგვირგვინა მისი ახალგაზღვრი შრომა. რუსეთში, პეტერბურგის და მოსკოვის ბიბლიოტეკაში, იმან იპოვა საქართველოს ისტორიისთვის აურაცხელი მასალა და შეუდგა იმთ შემუშავებას. 1847 და 1848 წლებში ბროსსემ ბოლოს იხილა აღთქმის ქვეყანაც, — ის გამოგზავნილ იქმნა საქართველოში არხეოლოგიური აწერის შესადგენათ და თავისი თვლით ნახა ყველა ის ისტორიული ადგილები, რომლებს სანელები ხვდებოდა იმის საქართველოს ისტორიის შესწავლის დროს. ბენწიერმა ასწერა ეს ადგილები ოთხს დიდს ტომებში (Rapport sur un voyage archéologique). შემდეგში, ბროსსე კიდევ იყო საქართველოში და კიდევ ერთ-ჯერ ნახა ეს ადგილები.

შუანასქელ დროებში ის თითქმის მუდამ სცხოვრებდა პეტერბურგში და „მოაწია რა ჟამი აღსასრული ცხოვრებისა“ სიცოცხლეშივე წაიღო თავისი ძელები სამშობლო მიწის ჩასაბარებლათ.

საქართველოს არხეოლოგიური აწერილობის, მართლის ცხოვრების და მახუშტის გეოგრაფიის გარდა ბროსსემ დასტოვა ბევრი სხვა წიგნები: 1) Histoire de la Siounie, 2) Ruines d'Ani aux X et XI siècle, 3) nepenucky pyzunicnux uapeu cz pociiuckumh ucydapamu, 4) Collection d'historiens Armeniens და სხვ. რამდენად ვრცელი და საკვირველია ბროსსეს შრომა იმით უნდა გასინჯოთ, რომ მარტო მართლის ცხოვრებისა და მახუშტის გეოგრაფიის თარგმნისათვის ჩვენებურ კაცს მთელი თავის სიცოცხლე არ ეყოფოდა...

შუანასქელი შრომა ბროსსესი Collection d'historiens armeniens შეადგენს ორს ვრცელს ტომს, რომელთაგან თითოთს აქვს შეიდასი გვერდი. როდესაც ვხედავ ბროსსეს ნაწერებს, ერთ ადგილზე თავ-მოყრილს, მაგანდება ის ძველებური მწერალი, რომელმანც ორი ათასი ტომი დასწერა...

ბროსსეს ნაწერის გარჩევას ერთი კაცი ვერც კი შეიძლება, — ამას მთელი კამმისია უნდა, მაგრამ, რომ შეიძლებაოდეს კიდევ, აქ არც დრო არის და არც ალაგი ამაზე ვილაპარაკოთ.

ჯერ ისევ თბილ საუბარზე, ამ საქართველოსთვის დაუვიწყარ კაცს ჩვენგან მხოლოდ მაღლობა და პატივი შევნიშნ. მომავალი გაარჩევს მის ღვაწლს და „ასწონავს მის შრომას“, როგორც ამბობს იუვენალი.

Requiescat in pace.
ი. მუხსარგაის.

ახალი ამბები

ღღეს, სამშაბათს, ჩვენს ქალაქში ლიგალიდამ მოელიან შინაგან საქმეთა მინისტრს გრაფ. მ. ტ. ლორისმელიქოვს.

მოგესხენებათ, რომ გავლილ 31 აგვისტოს სოფ. ბაკურ-ციხეში დანიშნული იყო სიღნაღის მაზრის თავდა-აზნაურთა კრება ქართულ გიმნაზიისათვის შესაწევრის თაობაზედ მოსალაპარაკებლად.

ღიდის სიამოვნებით ვაცხადებთ, რომ ამ კრებას სწორეთ ისე გაუთავებია საქმე, როგორც მოსალოდნელი იყო ჩვენის თავდა-აზნაურობისაგან: კრებას იქ გვარადვე გაუთავებია ეს საქმე, როგორც მართლისა და ძახეთის (თელავის მაზრის) თავდა-აზნაურობამ გაათავა, ე. ი. ვალდებული გახდნენ, რომ ქართულ გიმნაზიისათვის შესაწევარი იკისრონ.

საჭიროდ ვრაცხთ დაგებქლოთ ის ტელეგრაფმა, რომელიც სიღნაღის თავდა-აზნაურთა კრებას, ამ საქმის კეთილად გათავების შემდეგ, გამოუზახენია ამ საქმის დამწყების პატივცემულის ღენ. — ლეინტ. პოსტანტი-ნე შრ. მამაკოვისათვის:

„თქვენმა დაუღალავმა შრომამ ჩვენის ახალ-გაზდობის განათლებისათვის ჩვენში, თქვენს მოძმებში

„მხურვალე თანა-გრძობა აღძრა. სიღნაღის მაზრის თავდა-აზნაურობამ ძეთილად და სანატრელად გაათავა ეს საქმე, ის სალომს ვითვლის თქვენ და თქვენს დღეგრძელობას ისურვებს.“ სიღნაღის მაღრის თავდა-აზნაურთა წიამძღალი თ. რეგაზ ვახნაძე.

ზორიდამ გვეწერენ, რომ ამ ჟამთ იქ ძალიან გახშირებულია სხვა-და-ავათ მყოფობა როგორც დიდებისა, ისე ყმაწვილებისა. ამის მიზეზი ის უნდა იყვეს, რომ ჯერ ძრიელ ცხელოდა, შემდეგ, ცოტა-ხანს, მეტად აცივდა და ეხლა ისევ სიცხეები დაიჭირა.

ზორიდამვე გვეწერენ შემდეგს: „აქაურს საოცრატო სემინარიაში შემსვლელნი ბლომათ მოვიდნენ ყმაწვილები სხვათაშორის იმერეთი-დამაც, მაგრამ ეს უკანასქნელი არც ერთი არ მიიღეს; ზოგმა ეგზამენს ვერ მოუწერა და ზოგს „ვერ დაიჭირე“ უთხრეს!..

„პდრინდელი ზედამხედველი სამაზრო სასწავლებლისა, ბ. მაუსმანი, რომელიც თითქმის შეაბერდა ამ სასწავლებელს, — ძლივს მოაშორეს აქაურობას და მის ადგილზედ დანიშნა ბ. ჯავახოვი, რომელიც, როგორც ეტაბა ეხლადვე, ძალიან კარგათ წაიყვანს ამ სკოლის საქმეს, წაღმა დატრიალებს იმის ჩარხს. მასწავლებელნიც ზოგი გამოცვალებს და ახლები დაინიშნა.

„სიზნავლის სკოლის შენობა გაიცა იჯარით ურიისა და სომხის ხელში შეიდას-შვიდას თუმნათ; ის იქება მშვენიერი შენობა და უნდა დასრულდეს მერმის ამ დრომდინ.

ბატ. მოსე ჯანაშვილი გეთხოვს გამოვაცხადოთ, რომ „დროების“ №159-ში დაბეჭდილი კორრესპონდენცია ძახიდგან, იქაურის ბლოდარჩინის შესახებ, იმას არ ეკუთვნის. მაცხადებთ.

„ღ რ ო ე ბ ა“ კორრესპონდენცია

სოფ. ხახმატი, აგვისტოს. წლე-ვანდელი ხახმატის დღეობა ბევრით განსხვავებული არ იყო შარშანდელზედ. იქ ენახე ისევ ის ხევის-ბერი, რომელსაც ხელში ეჭირა სისხლიანი ხანჯალი და ამ სიტყვებით: „ბიორგი. ნაღერის პირსაო, რჯულიან — ურჯულით სალოცაო, შენ სწყალობდე ამ სამასხურის პატრონსა, სადაც შენ სახელ დაიძახას: მთაჩიგავ, ტყეჩიგავ; მისდევდეს, მისწივიდი, მოსდევდენ განხვეწიდი. წაღმა გაჰყევ ბიორგო! — უსომდა ყელში ხანჯალს ცხვარს და ძროხას *); ნახამდით ძონძებში შეხვეულ — მთის კაცს, რომელიც მოიყვანდა ცხვარს ან ძროხას დასაკვლელათ. ღელა-კაცებს კიდევ უფრო საქმე გაეჭირებინათ.

*) აქ დასოციალი წვრილი საქახლის რიცხვი 400 და ექსასი კურატი.

ბი მოვიდა ხევესურის სიღნაღისა და განვეული — დაგლეჯილი ჯუბაში, რომელიც სიმოკლის გამო შუა მუწლებამდის ძლივს სწედებოდა; ამას თან მოჰყვა პატარა ბავშვი თავის დედას-ებრ ღარბათ ჩაცმული: ჩოხის სხლების ნაგლეჯები აქა-იქა ეკიდა მკლავებზედ, მაგრამ დედას კიდევ არ მოეკლო აღერსი თავის შეილისთვის და მიეკრებინა რალაც კრელ-კრულა ნაკუწები გულზედ; პატარა ხეესურს სიცივის ფერი ელო, რადგან ერთი ჩოხის-მეტი არაფერი ეცო, მაგრამ ის ამ სიცივს არ იმჩნევდა, უფრო იმ წითელ-ყვითელი ნაკუწების სიხარულით.

ღელა-კაცი მოვიდა-მეთქი, ესთქვი. ღიან, მოვიდა და მოიყვანა თან ბატკანი. მიუბრუნდა ხევის-ბერს (ე. ი. ხუცესს) ამ სიტყვებით:

„შენი ჭირიმი, ჩემო ნათელისძეო, ე ბალლა შამხევეწი!“

აქ მდგომარე მღვდელმა საცეცხრლური მოამზადა, უნდოდა დაეკურთხებინა. ღელა-კაცს არ მოეწონა ეს მღვდლის კურთხევა; ცხვარი უკანვე გააბრუნა და სთქვა.

— შენ დაკურთხებულ არ მიწდა-რის არავ, თუ ნათლისძევი *) თორა არ იქნებისავ!

აქ, რასაკვირველია, შემოხვეული იყო გროვა ხეესურებისა. მართმა ამგროვიდამ წამოიძახა:

პრა უნ, დიაცო, არა! მრთავ დააკურთხან, უფრო წყალობას მაგცემსავ:

რამდენსამე ახალ-გაზდა ხეესურს მოეყარა თავი ხატის კარზედა; ყველა იმათგანი იყო ჩამჯდარი ჯაჭვ-ჩაჩქანში, მხარ ილღივ გადაკიდებული ფარებით, სახე ამათი რალაც სიამაყეს გამოხატავდა. ქველას დაეღესა ხმლები, თითქო საომრათ მიღვენილიყვენს საღმე.

აგერ ქალაზედ შემოჩნდა ერთი ხეესური, რომელიც ცხენს მოაქროლებს. ზის ცხენზედ ამაყათ; ისიც, რასაკვირველია, ჩამჯდარი არის იარალში. ისეთი კმაყოფილება და სიამაყე იხატება ყველა იმის მოძრაობაში, თითქო ბედის კალთის ქვეშ გამოზდილიყოს და იმას გაეთამამებინოს ხეესური. პრა იმის ბუნება გაათამამ მუდამ დღე ბუნებასთან ბრძოლამ და იმ შევმა ამაყათ მდგომარე კლდეებში, რომლებიც მუდამ ერთსურებიან: ნუ გაუტყდები უბედურებასო! მგრეთვე ამის სიამაყე არის ნაყოფი თავისუფლებისა, რომელიც უბედურ-კაცს ბენწიერათ ხდის...

მოვიდა ხატის ახლო; ცხენი საძოვარზედ მიუშვა და მიმართა ხავსიან ყორეებს; მივიდა და მისალამა ხეესურებს:

— წყალობა ბიორგისა. ვაქებო!

ქველანი ერთბაშათ წამოიშალნენ და მიუტყეს:

— შენც ხელ მაგიმართას და მაგცეს წყალობა ბიორგისა! —

— საყდარს გვერდზედ აუარა ესე, რომ ყურადღებაც არ მიუქცევიო!

*) ნათელისძე — ხუცესისა.

ქართული
საზოგადოებრივი
საბჭო

მაგრამ ყორეებს დიდი ხოქი და სა-
ლაში მიართო.

რომ ჰკითხოთ ხევსურს, რათ გე-
ჯავრება ეკლესია, იქაც ხომ იმ ხა-
ტის სალოცავია, რაც ამ ყორეებთ
ლოცულობათ, ის ვიპასუხებთ:

— ჩვენს კაცს ქველ არ უხდენსაც
ხატივ, ბალებს დევ დავემინებს
დამ-დამავ თავაც დაგვხელავსო (გაგვი-
ვიყვებსო)!

ხევსურის ყორეების სიყვარულის
მიხედვით უფრო ის არის, რომ კარგა
ხანია რაც ამ ყორეებში წარმოდგე-
ნილის ხატების აღერსში არის ჩა-
ვარდნილი ხევსურის რჯულითადი
ფანატიზმი. იმის ფანტაზიის გემოვნე-
ბა იმდენათ ამალღებული არ არის,
რომ ხატი ეძებოს უფრო ხელოვნურ
კაცის და ან ბუნების ქმნილებაში.
შორეები უყვარს იმისთვის, ბუნების
და ცხოვრების მრისხანებას გამოხატა-
ვენ, რომელშიაც თვით ხევსური
ტრიალებს; ამიტომაც ის ხატს უფრო
კლდეებში და ყორეებში ეძებს, ვიდრე
ეკლესიაში.... იმ ყორეების გა-
რეგანი შეხედულება ფრიად მოსაწო-
ნია ხევსურისათვის: ის იქ დიდს კმა-
ყოფილებას და სიმშენიერეს ხედავს,
რომლებსაც შეადგენენ: ყორეებზედ
დაწყობილი ირმის და ჯიხვის რქები
და მასთან გაშლილი ზედ მიყუ-
დებული დროშა... ამის გარდა ხე-
სურს შეუძლიან თავისუფლათ წად-
გეს, წამოდგეს ხატის კარზედ პირში
ხიბუხით, რის ნებასა, რასაკვირველია,
საყდარში არ მისცემენ....

ქველადფერი გამზადა დღეობის
შესასრულებლათ. ახლა ლუდიანი
კოდებიც გაიხსნა და უეჭველია, რომ
ლუდის სმა ფუჭათ არ ჩაივლის. ძარ-
გათ გამოთვრენ ყველანი და მოა-
გონდათ თავის ძველებური ჩვეულებ-
ბა. აქედამ ისე როგორ უნდა წავი-
დეს ხევსური, რომ სისხლი არავის
ჩამოადინოს. რა უნდა სთქვან იმა-
ზედ მანდილოვნებმა?! ხომ სირცხვი-
ლით გარეთ არ გამოვსვლება...

ერთმა ხევსურმა რაღაც მოუშარა
ერთს ფშაველს, დაუწყო ლანძღვა,
რომ ფშაველს ხელი გამოეღო და
იმასაც დრო მისცემიყო დაშნა დაეტ-
რიალებინა. ფშაველმაც აღარ დასთ-
მო და ამასობაში მოუხდებათ ძიძგი-
ლი... ხევსური არის ხმლით, ფშავე-
ლი ჯოხით.... ამას მოეშველება ერთი,
იმას სხვა და ამასობაში გაიმართება
საერთო ჩხუბი. ხევსურების ხმლებმა
დაიწყეს პკყვირალი ფშაველების თავ-
ზედ....

რამოდენიმე დასტრეს მსუბუქათ.
მრი ფშაველთაგანი მიმიმეთ დაიჭრა
და ერთს ხევსურს თავი გაუტყდა.

საკვირველი ის იყო, რომ არც
ერთმა ფშაველმა არ იხმარა იარაღი,
თუმცა ყველასა ჰქონდა; ხევსურები
კი ჯაჭვ-ჩაქანში ჩამჯდრები თავის
ფარებით ჯოხსაც არ არტყმევინებდ-
ნენ. ჩვენს ხალხს ეტყობა ჯერ არ
დაჰკარგვია ამოდენა ტანჯვაში ძალა
და ღონე, რომ ისევ ხლმებით თამა-
შობენ...

ღაიშალა ეს ომი. როგორც იყო
მოშველდა მოჩხუბარი ხალხი... ახლა
კი შეეცაო ხევსურს სახეზედ კმაყო-
ფილება. მოიხადა იმან თავისი ვა-
ლი...

მოგროვდა ერთათ ხალხი. ხევსუ-
რებმა იწყეს აღმა აღენა. ფშაველებმა
იწყეს წყლულების ხვევა. მოგროვდა
ხევსურები სათუშო სახლზედ და თავ-
მოწონებით დასქირეს ფშაველებს. ამ
დროს იმათ გროვიდგან მოისმა ჩონ-
გურის ხმა. ხევსურების შუში იჯდა
ერთი ახალგაზდა კაცი, რომელსაც
გრძელ ბეწვიანი ტყავის ქული უფრო
შუბლზედ დაწია და აძლედა იმის
სახეს მრისხანებას. მარჯვენა მხარზედ
გადაკედებული ჰქონდა ფარი. წელზედ
ეკრა თითბრით მორთული ხმალი და
ხანჯალი. შრელი ჩოხის კალთებიდამ
იყურებოდა ჯაჭვის პერანგზედ მოკე-
რებული ჯაჭვისვე ხელთათმანები.
შსომდა ლარებს, რომლის ზრიალ-
შიაც ჯაჭვის წკრიალი ერეოდა და
აძლედა ჩონგურის ხმას ჩამკვდარს,
მისივე მოსაწონარ ხასიათს. შაჰკრა
ერთხელ, ორჯელ მიმიმეთ და დაამღე-
რა ესეთი სიმღერა, რომლითაც ორი-
ვე მოჩხუბარი მხარე დაეკმაყოფილე-
ბინა:

როშკას 1) ატირდენ დედანი
ბლოს 2) სახნი ქეთვირისანი.
ზურაბ, ნუ დაგვლევ ხთის მადსა,
ნარჩომნ ვართ შენის ხმლისანი.
ხელს კი ჩვენც შამოგიქცევდით,
შალნ კარსარ გვედგენ ხთისანი.
მოგვივლენ პირ იქით ითა
არწიენი მალლის მთისანი.
ამ ლით მამუკა მოიდა,
შუქნი თან მაჰყვენ მზისანი;
ბეკენგორს ჩამოგეწიენს
ბაწითებინეს ქვიშანი.
მობრუნდეს ჩადგეს სამანი 3)
ბეკენ გორს ხოხის ქვისანი.
ქველამ ესრე ქნას ვაჟ-კაცმა,
შინც ლახეს ესე ქვიშანი!
ლეულის 4) ძირს წისქვილ დაბრუნდეს
ზურაბის სისხლის წყლისანი.
მრი წყალში ფშაველები დაგვდენ
წყებან ამოდის ხმლისანი!....

შათავა და სთქვა:
— „თქვენის გამარჯვების ვოიქებს!“
— „შაგრჩეს ენა-პირი, ხირჩლას,
მიუვო იმას ხალხმა...“

დ. ბ — ზ.

ს. რუხისი, 21 აგვისტოს. თქვენს
გაზეთში დაბეჭდილი ორიოდ სიტყვებმა
ბ. „ანაფხეკაზე“ დიდი არეულობა
მოახდინა ჩვენში: მამასახლისს უნდო-
და, (როგორც ამბობენ სხვების და-
რიგებით), რომ ეჩივლა „ანაფხეკას-
თვის“, რომლისთვისაც იგი დაიბარეს
„ანაფხეკანთა“ და თავადურად გაუ-
წყრენ, მაგრამ მამასახლისმა სხვებს
დააბრალო და იმათ შორის ერთს
აქაურს აზნაურს ბ. მ. იმათ დამარი-
გესო და მე კი თქვენზე ჩივილი მაინც
არ გამიბედნიაო.

1) სოფელი ხევსურეთში.
2) სოფ. ხევსურეთში.
3) სამანი — სასსოფარი.
4) სოფ. ხევსურეთში.

მს ბატონი თავადები გაუწყრენ
ამ აზნაურს, რომელსაც მათს ტყეში
გავზანდილი ურემი ცარიელი გა-
მოუბრუნეს დიდის ლანძღვითა. ახლა
ეს აზნაური უარს თურმე ამბობს: მე
არ დამირიგებიაო და თუ მართლა
დაარიგა და უარსა ჰყოფს არც ეს
არის გასაკვირველი, რადგანაც სიცი-
ვისა ყველას ემინია და ჩვენში თუ
სიცივე არ გინდა ტყის პატრონს
ც — ს დაგი-დარაბას ნუ გაუწყვე.

საზოგადოთ რომ ესთქვათ ჩვენი
გლენები ც — ს სრულიად არ ემღე-
რებინან, რადგან ისინი ისე სასტიკები
არ არიან, როგორც სხვა ტყის პატ-
რონი თავადები, მაგრამ ამათ შორი-
საც კი არიან ბ. „ანაფხეკისთანი“,
რომლებიც თავიანთ უფლებას ბო-
როტად ხმარობენ. მს ბ. „ანაფხეკა“
კი თუმც ახალ-დროების ყმაწვილობას
ჩემულობს და ცხვირზე პანსენ ადევს
(ეს დიდებული ნიშანი განათლებისა),
მაგრამ საწყალს მამასახლისს მაინც
ცხვირიდამ სისხლი აღინა, თუმცა
შეეძლო საქმის მშვიდობით გათავება.
ბი ამ ცხელს ამბავსა გწერთ და რა
იქნება ბოლოსა და რით გათავდება
ამათი საქმე ამასაც შეგატყობინებთ.

შედა გითხრათ, რომ წრევანდლის-
თანა ჩხუბები შერის-ცვლებას სხვა
დროს არა ყოფილა. აგვისტოა და
ასეთი სიტყვა ჩვენში, შემდეგ რაღას
უნდა მოველოდეთ!! თუ რთვილი
გაგდო შენი მტერი იყვეს რაც სი-
მინდებს და სხვა მოსავალს დღე
დაადგესთ.

შერისთობა ანუ ჩვენებური იარმუ-
კა მალე იქნება და მისს ამბებს მოგ-
წერთ თუ არავენ დამასწრო.

უცხოეთი

ფერილი ამბები. პოლიტიკურს
კარტესზონდენცაში დაბეჭდილია,
როგორც თვითონ ეს გაზეთი ამბობს
სარწმუნო პირისაგან მიღებული ცნო-
ბა, რომ ზღვაზედ დემონსტრაცია კი-
დეც რომ არ მოხდეს, შლადსტონი
მაინც არ უმტყუნებს იმ მხნე პო-
ლიტიკას, რომელსაც დღემდის მის-
დეესო. იმან გარდასწყითაო, რომ
არ შეუშინდეს არავითარს დაბრკო-
ლებას თუ გინდ უზაფოთაც დარჩე-
ოა, და ამით დაუმტკიცოს მსმალეთს,
რომ ცალკე სახელმწიფოს ვერ ათა-
მაშებს ისე, როგორც მთელს შერო-
პას.

სექტემბრის დამლევს პორტუგალი-
ის სატახტო ქალაქში ლისაბონში
შეიკრიბება სალიტერატურო კონგრე-
სი, რომელიც განიხილავს თარგმნის
უფლებას.

პარიჟში მყოფს შერმანიის ელჩს,
ჟონ-რადოვიჩს, ამ დღეებში უნახავს
ბამბეტა და უთქვამს მისთვის, ჰერ-
მანია დაფიქრეულია იმ ომის წადი-
ლის გამო, რომელიც ამ ბოლოს
დროს გამოიჩინა საფრანგეთის ხალხ-
მა. ბამბეტას მიუგია, ეს სულ ყვე-

ლაფერი მოგონილიაო. საფრანგეთის
ხალხს თვითონაც ძალიან ჰსურს მშვი-
დობიანობაო. „მართლს ბრძანებთო,
მიუგია ელჩს, მაგრამ თქვენ შეგიძ-
ლიათ ერთ კვირას სულ შესცვალოთ
მთელი საფრანგეთის გუნებაო!“

—
აზრუმიდამ რუსულს გაზეთს „გო-
ლასს“ სხვათა შორის შემდეგს სწე-
რენ:

„ამ ბოლოს დროს აქ ბევრს ლა-
პარაკობენ სომხეთის დამოუკიდებ-
ლობაზე, და ამასთანავე სომხეთის გა-
მოუცვლელ განმგეთ მკვიბტეში ნა-
პირველ-მინისტრალს სომხს ნუბარ-
ფაშას ასახელებენ. მართმა საპატია
მოხუცებულმა სთქვა: „ნუბარი კარგი
კაცია, მაგრამ იგიც ფესიანია, და
ჩვენ კაი ხანია, ფესებიანებმა თავი
მოგვაძულესო. თუ საქმე ისე მოეწე-
ყო, რომ შეიძლება გამოუცვლელი
განმგე გვეყოლოს, ის ემჯობინება
ერთი ბიჯი კიდევ გადავდგათ და
„შთამამელობითი“ განმგეთ აი ის კა-
ცი ამოვიჩიოთ.“ ამის თქმის თანა-
ვე მან ჩრდილოეთისკენ გაიშვირა ხე-
ლი...

ქველანი მიხედნენ ვისხედაც იგი
ამბობდა: ეს ის გამოჩენილი კაცია,
რომელიც ორი წლის წინად ომებში
იმარჯვებდა სომხეთში და ეხლა კი
რუსეთის მშვიდობიანის წარმატების
ასპარეზზედ იმარჯვებს, ესე იგი გრა-
ფი ლორის-მელიქოვი.

ნემენცურს, სტრასბურგულს გა-
ზეთში *Presse*-ში დაბეჭდილია წინა
სტატია, რომელიც „იარალის ახდას“
ურჩევს ჰერმანიას. შაზეთის აზრით,
შხოლოდ ამ „იარალის ახდის“ შემ-
დეგ შეეძლება მას პოლიტიკური თა-
ვისუფლების შოენა და სამრეწველო
და სამეურნეო დიდ სახელოსნოდ
გადაქცევა. რადგანაც სახელმწიფოს
განმგე პირნი არასოდეს ხელს არ მო-
უწყობენ შემოსხენებულის იარალის
ახდას, ამიტომაც — *Presse*-ის ფიქრით
დემოკრატია არის მოვალე რომ ამის
უსათუო საჭიროება ჩააგონოს ხალხს.

მტყობა პატივცემული გაზეთი დარ-
წმუნებულია, რომ მლხას-ლოტრინ-
გიაზე საფრანგეთი ხმას არ ამოიღებს
და სამუდამოდ შეარჩენს ჰერმანიას,
თორემ სხვას რას უნდა მიეწეროს
მისი წინადადება?

ინგლისური გაზეთის „Daily News“
-ის კორრესპონდენტის სიტყვით, მს-
მალეთის გაზეთები ამტკიცებენ, რომ
არაფერი გამოვა დემონსტრაციისაგა-
ნო; ამ ცოტა ხანში შეროპის სახელ-
მწიფოები დარწმუნდებიან, ყლო-
ტებს უკან დააბრუნებენ და მსმა-
ლეთთან ხელ-ახლავ დაიწყებენ მო-
ლაპარაკებასო.

საფრანგეთის მმართველობამ აას-
რულა სამღველოების ნება-დაურ-
თველად კონგრეგაციების (საზოგა-
დოებთა) მოსპობის სურვილი. შე-
რო საშიში მათგანი, ე. ი. იესუტების
ორდენი, როგორც მოგვხსენებათ,
განაძევა თავის ქვეყნიდამ, რადგანაც



მან უაჩუკო მმართველობისაგან ნე-
ბართვის აღება და სხვა ორდენთა
კონგრეგაციებს კი შეეთანხმა ცალკე
ხელშეკრულობით.

ამ ხელშეკრულობაში შემოსენენ-
ბულთ კონგრეგაციების უფროსნი
აღიარებენ ა) რომ ისინი სრულიად
არ ურევიათ რესპუბლიკის მმართვე-
ლობის მოწინააღმდეგებს, ბ) არც
ერთს პოლიტიკურს სისტემასთან არ
არიან დაზავებულნი, ვ) მათს მოქმე-
დებას ქრისტიანებრივი სათნოების
მეტე არაფერი მიუძღვის და დ) არც
ერთს პოლიტიკურს დასს და მიდრე-
კილებას არ უძღვნიან თავიანთ თა-
ნაგრძობას.

წრეულს 18 აგვისტოს სრულიად
დაასრულეს სახელ-განთქმული ძელ-
ნის სობოროს შენობა, რომლის აშე-
ნება 14 აგვისტოს 1248 წელს და-
იწყეს. ამ ექვსასი წლის განმავლო-
ბაში მხოლოდ ორჯერ იყო მისი
შენობის მუშაობა შეჩერებული (ოც-
დაათი წლის ომიანობის და საფრანგე-
თის რევოლუციის დროს) და და-
ნარჩენს დროს მუდამ მუშაობდნენ,
მაგრამ ერთობ ნელა კი. სობორო
დაჯდა სულ 40,000,000 მარკი
(12,400,000 მან.). ამ სობოროს
ორი კოშკი აქვს, რომელთა სიმაღ-
ლეს (160 მეტრი) ბადალი არა
ჰყავს დედა-მიწის ზურგზე.

განცხადებანი

ძინაქინის ღვინო ციებისათვის,
ატკინსონის საყროსველი წყალი და
სხვანი იყიდება ნამდვილს ინგლისის
მალაზიაში. (12-1)

რეალური სასწავლებლის უფროსი
კლასის უმჯობესესი მსურს აქლიოს ბაძ-
ვეთილუბი (განსაკუთრებით მათემა-
ტიკის) და ბინა იქვე ჰქონდეს.

აღრესი: „დროება“ - „ივერის“
რედაქცია. (5-4)

ქ. გარში გაიღო მარია კერესე- ლიძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია
იმყოფება კობინაშვილის სახლ-
ში ოქონის ეკლესიის მახლობლათ,
სადაც ისყიდება ყოველ გვარი ქარ-
თული წიგნი.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ
ამ მაღაზიას ამ აღრესით:
Въ Гори, въ книжный мага-
зинъ Маріи Кереселидзе. (12-2)

მოდის დეკო გლადიატატორის საკოდექა ქარხნისა

შაურ

აქხადებს, რომ 15 ივლისიდან ამ
1880 წლ. იყიდება საუკეთესოდ და-
წმენილი და გადაყენებული ვოდეკე-
ბი შემდეგი წოდების: სასადილო,
ბრინჯისა და ბულომერინგის, თითო
ბოთლი უბოთლოთ 45 კ. ბოთლია-
ნათ 38, ნახევარ ბოთლისათვის 25 კ.
უბოთლოთ 20 კ. სხვა ხარისხების სა-
განგებოდ დაშხადებულნი ცალკე
პრესკურანტით იყიდება.

მითად მიღველებს ბევრს დაუკ-
ლებენ.

მს ვოდეკები საუკეთესო პურის არ-
ყიდად ყოფილა დაშხადებულნი საორ-
თქლევ დამწმენილით და თავიანთ
თვისებით უკან არ ჩამოურჩებიან სა-
ტახტო ქალაქების ცნობილთ ფირ-
მებს.

მიგვიქცევია ბ. ბ. მიღველების ყუ-
რადლება წარდგენილს ნაწარმოებზე
რომელთ ღირსებისთვის ქარხანა პა-
სუხს აგებს.

მოდის დეკო იმყოფება მიხაილო-
ვის ხიდზე მორანცოვის ძეგლის პირ-
და-პირ ლიხორტინსკოის სახლში. (8-5)

სამსღვან-განეთის ყოველ-გვან სა-
გაჭრა სახლებთან შირადად ნაწნა-
ბობამ და შირდაშირის კავშირის ქო-
ნებამ, შეგვამლებინა დაგვეყო ქ. ქუ-
თაისში გაჭრამბა

საკუთრივ

სამოღვარ გარე- თელ მოდის სა- ქონლისა

NOUVEAUTÉS PARISI-
ENNES-ის

ფ ი რ ი თ

მაცნობებთ რა ამას აქაურს პატივ
ცემულს საზოგადოებას, ვიმედვეუ-
ლობით, რომ ის არ დაგვტოვებს უყუ-
რადლებოთ და ღირს გვეყოფს მოგ-
ემართოს საჭიროებისა-მებრ.

ჩვენს საშუალობით შეიძლება
სამსღვარ გარეთიდან ყოველ-გვან მა-
შინების, ავეჯეულების, ფორტეპი-
ნოთა და სხვ. ნივთების დაბარება.

ჩვენი მაღაზია არის ბიშნაზიის და
სათავადო ქუჩების კუთხეში, ბულვარ-
ის პირდაპირ საკუთარს სახლში.

ივანე ნიკოლაძე შეიღვებითურთ.

ინგლისის ქალა- ზია

Maison de confiance

შეგადრეთ ხევი ხაი-1 შ. 10 კ. მასკოვის ხაი-11.40კ.
— — — 1-20 — — 1-60

— — — 1-40 — — 1-80
— — — 1-60 — — 2-
— — — 1-80 — — 2-50

საუკეთესო-2- „ — — 3- „

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც:
თოფები, რევოლვერები, კრაოტები,
ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, და-
ნები, კოვზები, ტაშტები, კალმები,
ქალღლი, მოკოლადი, კაკაო, კანფე-
ტები, მურამები, მაგნეზია, უნაგირი-
ბი, კლეიონკა, წინდები-კაცისა და
ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოში,
კალენკორი-სულ ყველაფერი 25-
დამ 50 პროცენტით უფრო იაფად,
ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

მინც ქალაქს გარედამ 25 მანეთი-
დამ 1000 მანეთამდინ საქონელს გა-
მოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ
დის. (100-19)

მივიღეთ დიდ-ძალი ჩამი პირ-და-
პირ პლანტატორებისაგან — ინგლისის
მალაზიაში.

იქვე იყიდება წყურვილის ციტრატ-
მაგნეზია, კარბოლის აბები და გადამ-
დები სენის წინააღმდეგი წამალი. (10-9)

შენიშნვა

რადგან მოქალს ქვეყანაში გამოჩენილი
და მიღებული წამალი.

თმის გასამაგრებელი

მაკ - მასტერი

ერთობ ბევრა ისყიდება, ამის გამო
ინგლისის მალაზიაში ეს წამალი
ახლა 2 მაკთანდ ღირს. (100-30)

კატანტიანი უჩოტაჰი

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენე-
ბისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები
სასუნავეებით 2 მანეთიდან; საძმევე
30 კან.; რუშკები 5 კ.-დამ; ფილტრე-
ბი (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და
გვედრება 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ
ინიდუჟი; შოკოლადის კანფეტები 20
კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლი-
სურს მალაზიაში. (100-45)

გურაბა გემრიელი, კანფეტების
ყველი, მაგნეზია შერბეთი წყურვი-
ლისათვის, ჭურჭლეული, ჩაინიკები,
გრაფინები და სხვ. და სხვ. 25% უფ-
რო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე
ისყიდება ინგლისის მაღაზიაში.

კარბოლის პარაშოკი, კარბოლის
წყალი და საპონი გადამდებ ავთამყო-
ფობისათვის, მზის საათები დროების
საჩვენებლად — ფასი 1 მან. — ინგლისი
მაღაზიაში. (40-39)

ციტრატ - მახეზია — წყურვილის
მოსასოკებლად
მოიპოთხეთ ინგლისის მაღაზიაში. (25-13)

კანტონის იაგ. ზალინსკის

ოღმისის ვაჭრის

(ადრესი: ოდესსა, ალექსანდროვის
ზრასპექტი, ფაშენის სახლი)

ქვიდულობს და ქვიდის, კომპისიით
ყოველ გვარ საქონელს.

აგენტურა სხვა-და-სხვა საქონლის
გასასაღებლად.

წარმამადგენელია რუსის და სამ-
სღვან განეთის ფაბრიკებისა, ქარხნე-
ბისა და საგაჭრა სახლებისა.

აქვე ნარდათ ქვიდის და ქვიდულობს,
აგენტოვე კამისიის ფქვილს, საწვრთა-
ლო და კოლონიალურ საქონელს.

ახლად გაღებული

ზ. ზიჰინაძისაგან

ქართული წიგნის მაღაზია

იმყოფება, ალექსანდროვის ბაღთან
რუსის საყდრის გვერდით, წოვიანო-
ვის ლუქნებში, № 2.

მსურველთ ამ აღრესით შეუძლიათ
წიგნების დაბარება.

Въ Тифлисъ. Въ книжный маг.
Зах. Чичинадзе, Базарная улица д.
№ 2. (5-5)

ი ე ი დ ე ბ ბ

ახალი წიგნი
სამწერლო
თაიგული
შინაარსი:

I. ბაჰუს თხვენა (ლექსი) მ. შაზე-
ლისა II უბედური შემთხვევა (ამბავი)
ჟ-სა. III სქეს სურათებზე (ორი
ლექსი) მ. შაზელისა. IV მ... სადმი
(ლექსი) ბ-სა. V. ფერა ფერს-
მადლი დმეტოს სამ მოქმედებიანი
კომედია ცვილი. თარგმ. ალექსი
ჰიკინაძისაგან. VI ჩივილი სვედრი-
სადმი (ლექსი) რაფ. მრისთვისა. VII
ხასათის გაგვენა, სამუელ სმაილ-
ისა VIII უგოთხავი ზასუსი (ლექსი)
ნ. დ-სა. IX ახალი მოგდინება
ჩვენს დიტრატურაში. X ძვარავა-
ლებს (ლექსი) აკაკისა.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის და
აზნაუროვის მაღაზიაში მოლოვინის
პროსპექტზე და „არარატის“ წიგნის
მაღაზიაში მიხაილოვის ხიდთან.

ქუთაისში პ. ჭ. ბერარდის წიგნის
მაღაზიაში.

შასი თითო წიგნისა ათი შაური,
გაგზავნით სხვა ქალაქებში სამი
აბასი.

დაიხვედა და ისქიდება მართანო-
ვის ჭ. ჰიკინაძის წიგნის მაღაზიაში

ალექსი

ზღაპარი აკაკისა
ფასი თითო წიგნისა 20 კ.